



მ. წინამძღვრიშვილის ქ.#160, თბილისი 0112 საქართველო, ტელ: +995 32 250 68 99,  
160, M. Tsinamdzgvrishvili Str., Tbilisi 0112, Georgia, Tel: +995 32 250 68 99,

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს რკინიგზის ტელეკომი (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2004 წლის 31 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია: მ. წინამძღვრიშვილის ქ. 160, ქ. თბილისი, საქართველო

კომპანიის 100 % წილის მფლობელი 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით არის

ნოვასტარ კომერს ლიმიტედ (Novastar Commerce Limited) , ამასთანავე ნოვასტარ კომერს ლიმიტედ-ის 100% წილის მფლობელი არის შპს კავკასუს ონლაინი.

შპს რკინიგზის ტელეკომი ოპერირებს საქართველოში, მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოში და მეზობელ ქვეყნებში საბითუმო კლიენტების სატელეკომუნიკაციო სერვისებით უზრუნველყოფა:

- ინტერნეტის მიწოდება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით
- ინტერნეტის მოცულობის გადამცემა
- ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის და სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარა
- კოლოკაცია

## 2. მომზადების საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

კომპანიისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წ-ს 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი "მეწარმეთა შესახებ" და კანონი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის" შესახებ, მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად.

საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:  
მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.

აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.

დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას აკუთვნებს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება სებ-ის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი სხვაობები აისახება მოგების და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

31.12.2018 31.12.2017 31.12.2016

| <u>აშშ დოლარი</u> | <u>2,6766</u> | <u>2,5922</u> | <u>2,6468</u> |
|-------------------|---------------|---------------|---------------|
| <u>ევრო</u>       | <u>3,0701</u> | <u>3,1044</u> | <u>2,794</u>  |

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ფული, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში.

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების, მონტაჟის ფასს და სხვა დანახარჯებს რომლებიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს.

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადის დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან, ყველა კომპანიისთვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გადაიხდის დივიდენდს. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი კვლავ 15%-ია.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდის გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ფინანსურ 2017 და 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

დამფუძნებლის მიერ განხორციელებული ყველა ფულადი ან მისი ექვივალენტური შენატანი კაპიტალში, რომელიც ზრდის მას, მაგრამ არ აისახება კომპანიის წესდებაში, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

| ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება    | შენიშვნა | 31.12.2018           | 31.12.2017             | 01.01.2017             |
|-----------------------------------------------------|----------|----------------------|------------------------|------------------------|
| <b>აქტივები</b>                                     |          |                      |                        |                        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                        |          |                      |                        |                        |
| ბირთადი საშუალებები                                 | 3        | 15,072,873.06        | 15,485,724.16          | 13,465,068.44          |
| არამატერიალური აქტივები                             |          | 634.87               | 884.87                 | 1,140.87               |
| გაცემული სესხები                                    | 4        | 3,709,266.27         | 3,709,266.27           | 3,709,266.27           |
| მისაღები პროცენტები                                 | 5        | 6,181,583.48         | 5,296,168.27           | 4,418,216.03           |
| სახელმწიფო აქტივები                                 | 6        | 9,572,055.81         | 4,472,055.81           | 4,472,055.81           |
| გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები |          |                      |                        | 3,550,268.37           |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოში                     |          |                      |                        |                        |
|                                                     |          | <b>34,536,413.49</b> | <b>28,964,099.38</b>   | <b>29,616,015.79</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                        |          |                      |                        |                        |
| მარაგები                                            |          | 496,227.88           | 499,496.92             | 501,933.37             |
| სახელმწიფო აქტივები                                 |          |                      |                        |                        |
| გაცემული სესხები                                    |          |                      |                        |                        |
| საგადასახადო აქტივები                               |          | 349,595.40           | 98,990.94              |                        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                          | 8        | 4,671,199.14         | 7,031,536.72           | 9,929,765.86           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                         | 7        | 15,441.99            | 102,366.00             | 263,949.16             |
|                                                     |          | <b>5,532,464.41</b>  | <b>7,732,390.58</b>    | <b>10,695,648.39</b>   |
| <b>სულ აქტივები</b>                                 |          | <b>40,068,877.90</b> | <b>36,696,489.96</b>   | <b>40,311,664.18</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>           |          |                      |                        |                        |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                            |          |                      |                        |                        |
| საწესდებო კაპიტალი                                  |          | 1,990,770.57         | 1,990,770.57           | 1,990,770.57           |
| დაგროვილი ზარალი                                    |          | (846,047.04)         | (1,423,990.98)         | 68,336.19              |
| დამატებითი შენატანი კაპიტალში                       |          |                      |                        |                        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                        |          | <b>1,144,723.53</b>  | <b>566,779.59</b>      | <b>2,059,106.76</b>    |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                      |                        |                        |
| მიღებული სესხები                                    |          |                      |                        |                        |
| სახელმწიფო ვალდებულებები                            | 10       | 25,694,358.95        | 23,547,777.45          | 25,435,094.25          |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები                     |          | 3,416,116.92         | 3,756,496.85           | 4,093,867.95           |
| გადავადებული დღ-ს ვალდებულება                       | 11       | 4,624,984.73         | 4,238,599.99           | 4,578,316.99           |
|                                                     |          | <b>33,735,460.60</b> | <b>- 31,542,874.29</b> | <b>- 34,107,279.19</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                   |          |                      |                        |                        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                       | 9        | 5,188,693.77         | 4,586,836.08           | 3,119,094.18           |
| სახელმწიფო ვალდებულებები                            |          |                      |                        |                        |
| საგადასახადო ვალდებულებები                          |          |                      |                        | 1,026,184.05           |
| მიღებული სესხები                                    |          |                      |                        |                        |
|                                                     |          | <b>5,188,693.77</b>  | <b>4,586,836.08</b>    | <b>4,145,278.23</b>    |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>40,068,877.90</b> | <b>36,696,489.96</b>   | <b>40,311,664.18</b>   |

| სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება   | შენიშვნა | 2018                | 2017                  |
|----------------------------------------------|----------|---------------------|-----------------------|
| ამონაგები                                    | 12       | 5,772,500.63        | 4,544,789.12          |
| სხვა შემოსავალი                              | 13       | (2,494.33)          | 19,525.72             |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         |          | (3,605,864.22)      | (3,561,487.27)        |
| საოპერაციო ხარჯები                           | 14       | (2,031,651.84)      | (2,168,637.42)        |
| უიმედო და საჭვო მოთხოვნების ხარჯი            |          |                     |                       |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი    | 15       | (356,560.00)        | (385,042.50)          |
| ადმინისტრაციული ხარჯები                      |          | (436,359.27)        | (617,205.60)          |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                     |          | <b>(660,429.03)</b> | <b>(2,168,057.95)</b> |
| საპროცენტო შემოსავალი                        | 16       | 885,415.21          | 877,952.24            |
| ფინანსური ხარჯები, წმინდა                    |          |                     |                       |
| საგადასახადო ჯარიმა                          |          |                     | (26,500.00)           |
| ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობებიდან, წმინდა |          | (104,578.01)        | (175,721.46)          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                    |          | <b>120,408.17</b>   | <b>(1,492,327.17)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                    |          | -                   | -                     |
| <b>მთლიანი სრული ზარალი/ (შემოსავალი)</b>    |          | <b>120,408.17</b>   | <b>(1,492,327.17)</b> |

| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|--------------------------------------------|--------------------|---------------------|----------------------|------------------|
| 2017 წლის 1 იანვარი                        | 1,990,771          | 0                   | 68,336               | 2,059,107        |
| წმინდა მოგება                              | -                  | -                   | (1,492,327)          | (1,492,327)      |
| სხვა სრული შემოსავალი                      | -                  | -                   | -                    | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი                  | -                  | -                   | (1,492,327)          | (1,492,327)      |
| გაციმული დივიდენდი                         | -                  | -                   | -                    | -                |
| 2017 წლის 31 დეკემბერი                     | 1,990,771          | -                   | (1,423,991)          | 566,780          |
| წმინდა მოგება                              | -                  | -                   | 120,408              | 120,408          |
| გაუნაწილებელი მოგების კორექტირება          | -                  | -                   | 457,535              | 457,535          |
| პერიოდის სრული შემოსავალი                  | -                  | -                   | 577,943              | 577,943          |
| გაციმული დივიდენდი                         | -                  | -                   | -                    | -                |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                   | -                  | -                   | -                    | -                |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                     | 1,990,771          | -                   | (846,048)            | 1,144,723        |

### 3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                             | მიწის<br>ნაკვეთები | შენობები | დაუმთავრე<br>ბელი მშ. | საკომუნიაკო<br>ციო ინფრასტრუქტურა | მანქანა-<br>დანადგარ<br>ები | ავეჯი და<br>ოფისის<br>ალჭურვი<br>ლობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ          |
|-----------------------------|--------------------|----------|-----------------------|-----------------------------------|-----------------------------|---------------------------------------|-----------------------------|--------------|
| 31 დეკემბერი 2017           | 195,658            | 145,989  | 501,989               | 9,539,029                         | 14,206,329                  | 3,217,452                             | 71,068                      | 27,877,515   |
| შემოსვლა                    |                    |          |                       |                                   | 3,191,642                   | 6,101                                 |                             | 3,197,743    |
| გადაფასება                  |                    |          |                       |                                   |                             |                                       |                             | -            |
| გასვლა                      | -                  | -        |                       |                                   |                             |                                       | (26,357)                    | (26,357)     |
| 31 დეკემბერი 2018           | 195,658            | 145,989  | 501,989               | 9,539,029                         | 17,397,971                  | 3,223,553                             | 44,711                      | 31,048,901   |
| ცვეთა და გაუფასურება        |                    |          |                       |                                   |                             |                                       |                             |              |
| 31 დეკემბერი 2017           |                    | (16,870) |                       | (3,208,695)                       | (6,398,008)                 | (2,718,199)                           | (50,019)                    | (12,391,791) |
| პერიოდის ცვეთა              | -                  | (2,686)  |                       | (637,276)                         | (2,888,102)                 | (75,057)                              | (2,238)                     | (3,605,359)  |
| გასვლა                      | -                  | -        |                       |                                   |                             |                                       | 21,121                      | 21,121       |
| 31 დეკემბერი 2018           | -                  | (19,556) | -                     | (3,845,971)                       | (9,286,110)                 | (2,793,256)                           | (31,136)                    | (15,976,029) |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |                    |          |                       |                                   |                             |                                       |                             |              |
| 31 დეკემბერი 2017           | 195,658            | 129,119  | 501,989               | 6,330,334                         | 7,808,321                   | 499,253                               | 21,049                      | 15,485,724   |
| 31 დეკემბერი 2018           | 195,658            | 126,433  | 501,989               | 5,693,058                         | 8,111,861                   | 430,297                               | 13,575                      | 15,072,872   |

2011 წელს შპს დელტა კომში-თან, ხოლო 2016 წელს შპს პისიმაქს-თან გაფორმებულ იქნა ხელშეკრულებები გაუნათებელი ბოჭკოვანი ღერების 15 წლის ვადით შეუზღუდავი გამოყენების უფლების მიღებასთან დაკავშირებით (IRU) კონტრაქტების თანხებმა შეადგინა:

შპს დელტა კომში - 3 590 830 ლარი (დღგ-ს გარეშე)

შპს პისი მაქს - 4 274 842 ლარი (დღგ-ს გარეშე)

რომლებიც დაკაპიტალიზდა და აღიარდა როგორც საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

### 4. გაციმული სესხები

|                                 | 2018      | 2017      |
|---------------------------------|-----------|-----------|
| გაციმული სესხები (შენიშვნა 21 ) | 3,709,266 | 3,709,266 |
|                                 | 3,709,266 | 3,709,266 |

2011 წელს გაიცა სესხი შპს ნოვასტარ კომერს ლიმიტედზე, წლიური საპროცენტო განაკვეთი 16%, დარიცხული პროცენტი დაფარულია 19200 ლარის ოდენობით.

### 5. მისაღები პროცენტები

|                                    | 2018      | 2017      |
|------------------------------------|-----------|-----------|
| მისაღები პროცენტები                | 517,646   | 517,646   |
| მისაღები პროცენტები (შენიშვნა 21 ) | 5,663,938 | 4,778,522 |
|                                    | 6,181,583 | 5,296,168 |

### 6. სახელშეკრულებო აქტივები

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო აქტივები წარმოდგენილია, როგორც შპს კავკასუს ონლაინზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით გაციმული მომსახურების (IRU) სრულ მოთხოვნასა და

მიღებულ ავანსებს შორის სხვაობა. აქედან საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო 12 თვეში ასაღიარებელი შემოსავალი წარმოადგენს 2,175,452 ლარს.

|                                        | 2018             | 2017             |
|----------------------------------------|------------------|------------------|
| სახელშეკრულებო აქტივები (შენიშვნა 21 ) | 9,572,056        | 4,472,056        |
|                                        | <b>9,572,056</b> | <b>4,472,056</b> |

7. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                                   | 2018          | 2017           |
|---------------------------------------------------|---------------|----------------|
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში  | 7,894         | 14,670         |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 7,546         | 87,694         |
| ნაღდი ფული საღაროში                               | 2             | 2              |
| <b>სულ</b>                                        | <b>15,442</b> | <b>102,366</b> |

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                    | 2018             | 2017             |
|----------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო                          | 615,554          | 769,411          |
| გადახდილი ავანსები                                 | 440,355          | 497,405          |
| მოთხოვნა საწარმოს პერსონალთან                      | 5,463            | 6,410            |
| მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 21) | 3,609,827        | 5,758,310        |
| <b>სულ</b>                                         | <b>4,671,199</b> | <b>7,031,537</b> |

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                       | 2018             | 2017             |
|-----------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 5,163,925        | 4,563,509        |
| სხვა ვალდებულებები    | 6,138            | 4,777            |
| მიღებული ავანსები     | 18,631           | 18,550           |
| <b>სულ</b>            | <b>5,188,694</b> | <b>4,586,836</b> |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

10. სახელშეკრულებო ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია, როგორც შპს კავკასუს ონლაინზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით გაცემული მომსახურების (IRU) სრულ დარიცხვასა (გადავადებული შემოსავალი) და გამოუმუშავებელ შემოსავალს შორის სხვაობა. 2018 წლის იანვარში დამატებით კიდევ ერთი ხელშეკრულება (IRU) გაფორმდა 4,322,034 ლარზე.

აქედან საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო 12 თვეში ასაღიარებელი შემოსავალი წარმოადგენს 2,175,452 ლარს.

11. გადავადებული დღგ-ს ვალდებულება

გადავადებული დღგ-ს ვალდებულება ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებებში რიცხული თანხების კუთვნილ გამოუმუშავებელ დღგ-ს.

საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო 12 თვეში მოხდება 391,581 ლარის დღგ-ს გადატანა დღგ-ს მიმდინარე ანგარიშზე.

12. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                       | 2018             | 2017             |
|-----------------------|------------------|------------------|
| ინტერნეტ სერვისი      | 344,804          | 560,562          |
| კოლოკაცია             | 20,027           | 47,924           |
| არხის იჯარა           | 4,040,390        | 2,744,129        |
| გაფ/რეს ურთიერთჩართვა | 31,500           | 32,750           |
| ობკ წყვილის იჯარა     | 30,509           | 26,949           |
| ინსტალაცია            |                  | 85               |
| არხის მომსახურება     | 1,305,271        | 1,132,390        |
| <b>სულ</b>            | <b>5,772,501</b> | <b>4,544,789</b> |

13. სხვა შემოსავალი

ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

|                                                       | 2018          | 2017          |
|-------------------------------------------------------|---------------|---------------|
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი | (2,494)       | 19,526        |
| <b>სულ</b>                                            | <b>-2,494</b> | <b>19,526</b> |

14. საოპერაციო ხარჯები

|                                     | 2018             | 2017             |
|-------------------------------------|------------------|------------------|
| არხის იჯარა                         | 172,387          | 265,928          |
| ინტერნეტ სერვისი                    | 227,984          | 346,571          |
| ფართის იჯარა                        | 141,313          | 140,458          |
| გაფ/რესურსის ურთიერთჩართვა          | 24,000           | 25,250           |
| ობკ იჯარა                           | 15,254           | 13,882           |
| ასს-ის და საკბელო მომსახურება       | 10,216           | 16,147           |
| გაუნათებელი ობტ. ღირებუთ სარგებლობა | 10,169           | 14,830           |
| დომენური სახელი                     | 51               | 51               |
| ტექ.მომსახურება და ოპერირების ხარჯი | 1,232,254        | 1,223,174        |
| კოლოკაცია                           | 118,321          | 115,229          |
| თანალოკაცია                         | 4,153            | 7,119            |
| საგარანტიო მომსახურება              | 75,549           |                  |
| <b>სულ</b>                          | <b>2,031,651</b> | <b>2,168,637</b> |

15. ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

|            | 2018           | 2017           |
|------------|----------------|----------------|
| ხელფასი    | 301,450        | 331,434        |
| ბონუსი     | 28,553         | 27,275         |
| დაზღვევა   | 26,558         | 26,334         |
| <b>სულ</b> | <b>356,560</b> | <b>385,043</b> |

16. საპროცენტო შემოსავალი

|                                     | 2018           | 2017           |
|-------------------------------------|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა 21) | 885,415        | 877,952        |
| <b>სულ</b>                          | <b>885,415</b> | <b>877,952</b> |

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                             | დაკავშირებული მხარე              | 2018       | 2017       |
|---------------------------------------------|----------------------------------|------------|------------|
| გაცემული სესხები                            |                                  |            |            |
| ნოვასტარ კომერს ლიმიტედ                     | დამფუძნებელი                     | 3,709,266  | 3,709,266  |
| მისაღები პროცენტები                         |                                  |            |            |
| ნოვასტარ კომერს ლიმიტედ                     | დამფუძნებელი                     | 5,663,938  | 4,778,522  |
| სახელშეკრულებო აქტივები                     |                                  |            |            |
| შპს კვკასუს ონლაინი                         | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 9,572,056  | 4,472,056  |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                  |                                  |            |            |
| შპს კვკასუს ონლაინი                         | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 3,609,827  | 5,758,310  |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები (შენიშვნა 10)  |                                  |            |            |
| შპს კვკასუს ონლაინი                         | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 25,694,359 | 23,547,777 |
| გადავადებული დღ-ს ვალდებულება (შენიშვნა 11) |                                  |            |            |
| შპს კვკასუს ონლაინი                         | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 4,624,985  | 4,238,600  |

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                         | დაკავშირებული მხარე              | 2018      | 2017      |
|-------------------------|----------------------------------|-----------|-----------|
| შემოსავალი              |                                  |           |           |
| შპს კვკასუს ონლაინი     | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 5,199,833 | 3,432,032 |
| საპროცენტო შემოსავალი   |                                  |           |           |
| ნოვასტარ კომერს ლიმიტედ | დამფუძნებელი                     | 885,415   | 877,952   |
| საოპერაციო ხარჯები      |                                  |           |           |
| შპს კვკასუს ონლაინი     | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 452,451   | 525,518   |
| ადმინისტრაციული ხარჯები |                                  |           |           |
| შპს კვკასუს ონლაინი     | საბოლოო 100%-იანი წილის მფლობელი | 21,356    | 21,356    |

გრიგოლი თოდუა  
დირექტორი

გიორგი ყვავილაშვილი  
ფინანსური დირექტორი

